პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 25 მარტი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# ზარია ვოსტოკა

№ 64 (752)

1 და 2 ქარ. მშრ. ღიპ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთ

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## დღეს მიწას აბარებენ რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლებს და ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგებს მიასნიკოვს, ათარბეგოვს, მოგილევსკის

## და მათთან ერთად დაღუპულ მფრინავებს შპილს და საღარაძეს

# უკანასკნელი სალამი და მარადიული ხსოვნა მათ!

## ძვირფას სამარეზე.

დღეს მიწას ვაბარებთ ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების: მიასნიკოვის, ათარბეგოვის, მოგილევსკის და მათთან ერთად დახოცილ მფრინავების შპილის და საღარაძის ცხედრებს. მოულოდნელმა საბედისწერო შემთხვევამ გამოგლიჯა ჩვენს რიგებს სამი უნიჭიერესი და გამოჩენილი ძალა. ჯერ კიდევ ვერ მოვასწრეთ ამხ. ნარიმანოვის დასაფლავება, რომ გვეწვია ეს ახალი გულშემზარავი უბედურება.

დაიღუპნენ პარტიის საუკეთესო წევრები, იშვიათი რევოლიუციონერები, რომელთა დანაკლისის ანაზღაურება მეტად ძნელია, როგორც პარტიისათვის ისე საბჭოთა ხელისუფლებისათვის. დღევანდელ მომენტში, როცა პარტიის და საბჭოთა კავშირის წინაშე სდგანან უდიდესი ამოცანები საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების და გაძლიერების საქმეში, ასეთი ამხანაგების დაკარგვა —უდიდესი დანაკლისია.

სამივე ისინი ხელმძღვანელობდენ პარტიულ და საბჭოთა მუშაობას ამიერ კავკასიის ფარგლებში. სამივენი პარტიის ძველი წევრები იყვნენ, რომლებმაც განვლეს რევოლიუციონერის მძიმე და ნარ ეკლიანი გზა. შეუდრეკელი ბოლშევიკები, ჭეშმარიტი ლენინელები, თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში და სამოქალაქო ომის ალმურში გამობრძმედილი რევოლიუციონერები—აი ვინ იყვენ ამხ. ამხ. მიასნიკოვი, მოგილევსკი და ათარბეგოვი. საბჭოთა ხელისუფლების გასაჭირის და საფრთხის დროს ეს ამხანაგები მუდამ მოწინავე ხაზზე იყვენ და თავისი გმირული ბრძოლით მუშათა კლასის ინტერესებისათვის და ნიჭიერი ხელმძღვანელობით ხელს უწყობდენ მუშების და გლეხების გამარჯვებას.

თითეული მათგანი თავ. თავიანთ დარგში პირდაპირ ფას დაუდებელი მუშაკი იყო.

ამხ. მიასნიკოვი ძველი გამოცდილი ბოლშევიკი, ლენინის მოწაფე იყო. მისი გამჭრიახი გონება, ფართე მარქსისტული განათლება და ათეულ წლეებით დაგროვილი რევოლიუციონური გამოცდილება ქმნიდა მ.ს უნიჭიერეს ხელმძღვანელად პარტიის და მუშურ—გლეხური ხელისუფლების.

ამხ. ათარბეგოვი—შეუბრალებელი მტერი იყო საბჭოთა ხელისუფლების ყველა ჯურის მტრებისა. რკინის ხელებით აქრობდა ის კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებებს სამოქალაქო ომების დროს და მუდამ ფხიზელ დარაჯად უდგა საბჭოთა სახელმწიფოს.

ყველგან, სადაც კი საჭირო იყო საქმის სწრაფად წინ წაყვანა პარტია ყოველთვის აგზავნიდა ამხ. ათარბეგოვს, რომელიც იშვიათი ენერგიით და თავდადებით ჩინებულად ასრულებდა საპასუხისმგებლო ამოცანას.

ამხ. მოგილევსკი ხელმძღვანელობდა პროლეტარულ რევოლიუციის ფხიზელი თვალის—საგანგებო კომისიის მუშაობას ამიერ-კავკასიის მასშტაბში. იშვიათი სპეტაკი რევოლიუციონერი, მომზადებული მარქსისტი, მუშებისა და გლეხების სიყვარულით ალსავსე ადამიანი, ის მუდამ ღირსეულად უძღოდა თავის დიდ საპასუხისმგებლო საქმეს.

და აი უბედურ შემთხვევამ მოგვტაცა ისინი, ჩამოაშორა ჩვენ რიგებს სამუდამოთ.

მეტად მძიმეა ეს დანაკლისი. მაგრამ კომპარტია არასდროს არ ვარდება სასოწარკვეთილებაში. ყოველი ასეთი უბედურება მხოლოდ ამხნევებს მის რიგებს, აფოლადებს მის ძალას.

დღეს ვაბარებთ რა შავ მიწას ძვირფასი ამხანაგების ცხედრებს ჩვენ მტკიცე ფიცს ვსდებთ მათ სამარეზე:

ლენინის საქმეს, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდით თქვენ ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ მივიყვანთ საბოლოო გამარჯვებამდე. თქვენი რევოლიუციონური მოღვაწეობა კი მუდამ საუკეთესო მაგალითი იქნება ჩვენთვის საყვარელი ბელადის ანდერძების განხორციელების საქმეში.

## ამხ. ათარბეგოვი.

გიორგი ალექსანდრესძე ათარბეგოვი დაიბადა 1891 წელს, სოფ. ეჩმიაძინში. ის სწავლობდა ერევანის გიმნაზიაში, სადაც მოუსწრო 1905-ს რევოლიუციამ. 1908 წელს ამხ. ამოსა და ათარბეგოვის ხელმძღვანელობით ერევანში დაარსებულ იქნა რ. ს. დ. მ. პ. (ბ) წრე.

1910 წელს, გიმნაზიის დასრულების შემდეგ ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის ის მალე იქნა დაპატიმრებული.

1911 წელს დაიწყო მუშაობა სტუდენტების კოლექტივში, სადაც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამხ. მიასნიკოვი. ომისა და მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ იმალებოდა. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მუშაობდა სოხუმში. აქტიურ მუშაობას აწარმოებდა კალედინის, დენიკინის და სხვებთან მებრძოლ რაზმების პოლიტკომის თანამდებობაზე.



იყო „ჩეკას“ თავმჯდომარედ ჩრდილოეთ-კავკასიაში, შემდეგ ასტრახანში; ასრულებდა განსაკუთრებულ განყოფილების უფროსის თანამდებობას კასპიის და კავკასიის ფრონტზე. ჩააქრო ასტრახანის აჯანყება.

1920 წლის დასაწყისს გაემგზავრა აჯანყების ჩასაქრობად ყუბანში.

ამ დროს ის ითვლება კავკასიის ფრონტის რევსამხსაბჭოს განსაკუთრებულ განყოფილების და „ვეჩეკას“ უფროსად. თავმჯდომარეობდა სომხეთის რევკომს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მუშაობს ტფილისში.

ამ ბოლო დროს ის ითვლებოდა: ამიერ-კავკასიის ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისრად, მუშათა და გლეხთა ინსპ-ს სახკომის მოადგილედ.

## ამხ. მიასნიკოვი.

ალექსანდრე თედორეს ძე მიასნიკოვი პარტიაში შევიდა 1904 წ. მარქსისტულ პრესაში ის ცნობილია ა. ლ. მარტუნის ფსევდონიმით.

1919—21 წლის განმავლობაში გამოცემულია მისი შრომები: „სოციალისტ-რევოლიუციონერებზე“, „პროფკავშირებზე“, „უპარტიო კონფერენციები“. „პარტიისათვის და სხვა.



თანამშრომლობდა მოსკოვის „პრავდა“-ში, „იზვესტია“-ში, და „კომუნისტურ შრომაში“.

ოქტომბრის დღეებში დასავლეთ ფრონტის მეორე ყრილობამ ამხ. მიასნიკოვი აირჩია ფრონტის სარდლად.

1918—19 წელს თავმჯდომარეობდა საბჭოთა ბელორუსიისა და ლიტვის ცაკს და იმავე დროს ეჭირა სამხედრო კომისრის პოსტი.

იმავე წელს ინიშნება წითელი არმიის სარდლად ჩეხოსლოვაკიის ფრონტზე.

1919 წლის ბოლოს მიასნიკოვი ბრუნდება მოსკოვში და მუშაობს მოსკოვის (რკპ-ს) კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობაზე და იმავე დროს ირიცხებოდა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

პოლონეთის ომის დროს მიასნიკოვი ინიშნება მთელი დასავლეთ ფრონტის პოლიტიკურ კომისრად.

დიდი ენერგია დახარჯა ამხ. მიასნიკოვმა აქ, ამიერ-კავკასიაშიც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების საქმეში.

უკანასკნელ დროს მიასნიკოვი ითვლებოდა: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამხკომსაბჭოს მოადგილედ, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრად, საბჭოთა კავშირის და ა. კავკ. წ. დ. არმიის რევსამხსაბჭოს წევრად სომხეთის კომპარტიის ცეკას წევრად და სხვა.

## ამხ. მოგილევსკი

სოლომონ გრიგოლის ძე მოგილევსკი დაიბადა 1885 წ. ებრაელ ვაჭრის ოჯახში.

პირველად სწავლობდა სახლში შემდეგ პავლოგრადში ეკატერინოსლავის გუბერნიაში.

1902 წლიდან ღებულობდა მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში გიმნაზიის და მუშათა წრეებში.

1904 წელს დააპატიმრეს. ორი თვის შემდეგ განთავისუფლეს თავდებ—ქვეშ, რის შემდეგ გაემგზავრა საზღვარ-გარედ. ჟენევაში ამხ. ლენინის მიერ ის ჩარიცხულ იქნა ბოლშევიკურ ჯგუფში. რუსეთში დაბრუნების შემდეგ



მუშაობდა ეკატერინოსლავში პროპაგანდისტად.

1906 წელს გადავიდა პიტერში, სადაც ეწეოდა საორგანიზაციო—საპროპაგანდო საქმეს.

1916 წელს გაწვეულ იქნა მეფის არმიაში. რევოლიუციის შემდეგ არჩეულ იქნა ქ. მინსკის სოც. დემ. პარტიის ორგანიზაციის პირველ კომიტეტში.

ჩეხო-სლოვაკების შეტევაზე გადმოსვლის დროს ის გაემგზავრა როგორც ცაკის კომისიის წევრი სარატოვში, მუშაობდა ალმასკომში, ჩეკაში და ღებულობდა მონაწილეობას 111 არმიის შეთქმულების ლიკვიდაციაში.

1919 წ. პარტმობილიზაციით გაგზავნილ იქნა უკრაინაში. კიევიდან დახევის შემდეგ იყო მეთორმეტეარმიის ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილედ. რესპუბლიკის პოლიტსამმართველოს ბრძანებით 1919 წლის ნოემბერში მივლენილ იქნა „ვეჩეკას“ განკარგულებაში, სადაც მუშაობდა სხვა და სხვა თანამდეობაზე 1921 წლის მაისამდი. 1921 წლიდან მუშაობდა კავკასიაში „გეპეუს“ სრულუფლებიან წარმომადგენლად. ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობაზე არჩეულ იქნა ამიერ-კავკასიის ცაკის წევრად. უკანასკნელ, ამიერ-კავკასიის პარტიულ ყრილობაზე არჩეულ იქნა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად.



### მფრინავი შპილი.

იოსები შპილი (სეპპელი) დაიბადა 1892 წელს ქ. ვესერბურგში (ბავარიაში). 1920 წლიდან ის მსახურობდა პილოტად „იუნკერსი“-ს ფირმაში გერმანიაში, ხოლო 1923 წლიდან „იუნკერსი“-ს ფირმაში საბჭოთა კავშირში.

შპილი იყო მუშა, გლეხის შვილი. ვესერბურგში მას ჰყავს დები და ძმა.



### მფრინავი საღარაძე.

ამბაკო ერმალოს ძე საღარაძე დაიბადა ონში, რაჭის მაზრაში ის იყო გლეხის შვილი, უპარტიო. საქართველოს გასაბჭოების დღიდან ის მსახურობდა მფრინავად ტფილისის აეროდრომზე. საღარაძემ შეასრულა რამოდენიმე გაბედული ფრენა. ამხანაგებში ის საყვარელი და თანამგრძნობი კაცი იყო. ის იყო 27 წ. განსვენებულის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა ორი მცირეწლოვანი ძმისწული.

1 და 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტ-განყოფილებები და შტაბები აუწყებენ ტრაღიკულად დაღუპვას, ჰაეროპლან „იუნკერსის“ ავარიის გამო, საბჭოთა კავშირის და წითელ დროშოვან არმიის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოების წევრის

## ალექსანდრე თედორეს-ძე

# მიასნიკოვის

მასთან ერთად დაიღუპენ ამ.-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე

## სოლომონ გრიგორის-ძე

# მოგილევსკი

ს. ს. რ. კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის რწმუნებული და ამ.-კავ. ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე

## გეორგი ალექსანდრეს- ძე

# ათარბეგოვი

და ორი მფრინავი ამხ. ამხ.

## შპილი და საღარაძე

---

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქამს ა. კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საკავშირო-ცაკის, საკავშირო და წითელდროშოვან ჯარის სამხედრო-სარევოლიუციო საბჭოს წევრის ამხ.

## ა. ფ. მიასნიკოვის

ა. კავკასიის მუშა-გლეხ-თა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილის და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ა. კ. რწმუნებულის ამხ.

## გ. ათარბეგოვის

და ა. კ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ამხ.

## სოლ. მოგილევსკის

ტრაღიკულად დაღუპვის გამო.

---

# გამოძახილი დაღუპულ ამხანაგების შესახებ საბჭოთა კავშირში

## რსფსრ-ს ცაკის პრეზიდიუმის დეპეშა.

სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა გაუგზავნა ამიერკავკასიის ცაკს შემდეგი დეპეშა:

„სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი ღრმა თანაგრძნობას გიცხადებს თქვენ მიასნიკოვის, ათარბეგოვის და მოგილევსკის ტრაღიკულად დაღუპვის გამო.

ასეთ ერთგულ და შეუდრეკელ რევოლიუციონურ მებრძოლთა დაკარგვით დიდ მწუხარებას განიცდიან საბჭოთა კავშირის მშრომელები.“

## გვირგვინი რსფსრს ცაკის პრეზიდიუმისაგან.

სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა გაუგზავნა დეპეშა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს—ამხ. ელიავას, რომელსაც სთხოვს პრეზიდიუმის სახელით შეამკოს გვირგვინით ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების სამარე.

## ადერბეიჯანის ცაკი-პარტიის ცეკასა და სომხეთის ცაკს.

„ჩვენ ერთად ვიტარებთ გლოვისა და მწუხარების დღეს ჩვენი დიადი დანაკლისის გამო. შევამჭიდროვოდ ჩვენი რიგები და მაღლა დავიჭიროთ რევოლიუციისა და ძმობის დროშა, რომელიც მხნეთ ეჭირა ხელში ამხ. მიასნიკოვს.“

მიღებულია აგრეთვე დეპეშები მოსკოვიდან, ტფილისიდან, ბაქოდან და სომხეთის ყველა მაზრებიდან.

## სომხეთის ცაკისა და სახკომსაბჭოს მოწოდება.

სომხეთის სახკომსაბჭომ და ცაკმა მოწოდებით მიმართა სომხეთის მუშებსა და გლეხებს.

მოწოდებაში დახასიათებულია დაღუპლთა მოღვაწეობა და ბოლოს ნათქვამია:

„ისინი იყვნენ ოქტომბრის რევოლიუციის გმირები.

მათი ხსოვნა მარად იცოცხლებს მუშებისა და გლეხების გულში.“

ასეთივე მოწოდება გამოუშვა სომხეთის ახკომკავშირის ცეკამაც.

## დაღუპულთა სახსოვრად.

ერევანში, სპარსეთისა და ოსმალეთის საკონსულოებზე გლოვის ნიშნად ჩამოშვებულია დროშები.

## თანაგრძნობა.

სომხეთის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით გაეგზავნა თანაგრძნობის დეპეშები საბჭოთა კავშირის ცაკს, სახალხო კომისართა საბჭოს, რევსამხსაბჭოს, ამიერკავკასიის ცაკს, ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს და კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს.

ოსმალეთის და სპარსეთის კონსულებმა ინახულეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მრავიანი და გამოუცხადეს თანაგრძნობა.

## ამიერ-კავკასია სამგლოვიარო ძაძებში.

ამიერ-კავკასიის ყოველი კუთხიდან მოდის თანაგრძნობის დეპეშები ამხ. ამხ. მიასნიკოვის, ათარბეგოვის და მაგილევსკის ტრაღიკულად დაღუპვის გამო.

„ამიერ-კავკასიის ხალხთა საერთო გლოვას ვუერთებთ ჩვენს ვარამს“ იწერება მუშებისა და გლეხების სახელით სამაზრო პარტკომი.

წითელი ქალაქის კომკავშირელთა და უპარტიო გლეხთა სამგლოვიარო კრებაზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია რომელშიაც ნათქვამია:

„ყოველ ჩვენგანს კარგად ესმის თუ რა დანაკლისი განიცადა ამიერ-კავკასიამ დაღუპულ ამხ. ამხ. სახით. დაღუპულთა საუკუნო ხსოვნა დარჩება ყოველ პატიოსან მუშაკის გულში“.

თანაგრძნობის დეპეშები მიღებულია აგრეთვე ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციიდან, გარე კახეთის პარტკომისა და თემის კომიტეტისაგან, აჭარისტანის საოლქო კომიტეტისაგან, აბხაზეთისაგან და სხვა.

---

# ახალი რადიო-ამბები

## ამხ. მარხლევსკის გარდაცვალება.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ იტალიაში გარდაიცვალა პოლონეთის უხუცესი კომუნისტი მარხლევსკი.

## მარხლევსკი.

რევოლიუციონური მუშაობა ამხ. მარხლევსკიმ დაიწყო 90-იან წლეებში. 1891 წელს დაიჭირეს და გადაასახლეს რუსეთის ტერიტორიიდან.

1905 წლამდი ის მუშაობს საზღვარ გარედ.

1905 წელს ბრუნდება ვარშავაში, სადაც ხელახლად აპატიმრებენ.

იმპერიალისტურ ომის დროს მარხლევსკი სოციალ-გამყიდველების შეურიგებელი მტერი ხდება.

1919 წლიდან მარხლევსკი იმყოფება მოსკოვში და ითვლება კომინტერნში პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენლად, დასავლეთის კომუნისტურ უნივერსიტეტის რექტორად და რემედასის ცეკას თავმჯდომარედ.

---

## საარჩევნო კამპანია გერმანიაში.

## კომუნისტების კანდიდატის სასარგებლოდ.

დიუსელდორფში მოხდა მანიფესტაცია ტელმანის კანდიდატურის სასარგებლოთ. საოკუპაციო ძალებმა აკრძალეს ყოველგვარი მანიფესტაცია, მაგრამ მიუხედავად ამისა ტელმანს შეეგება სადგურზე აურაცხელი ხალხი. საარჩევნო კრებაზე ტელმანმა დაწვრილებით დაახასიათა ფარისევლური ბრძოლა სოციალ-დემოკრატებს, დემოკრატებს, ცენტრსა და მონარქისტებს შორის, ვინაიდან მათი საერთო მიზანია სასტიკი რეაქცია და საბჭოთა რუსეთის განადგურება.

მასიური მანიფესტაციები მოხდა აგრეთვე მთელ რიგ ქალაქებში.

## „უკან ბისმარკისაკენ.“

მემარჯვენე პარტიების კანდიდატმა პრეზიდენტის თანამდებობაზე, იარესმა წარმოსთქვა ჰამბურგში საპროგრამო სიტყვა ლოზუნგით—„უკან ბისმარკისაკენ.“

ბრესლავლში საარჩევნო კრებაზე იარესი გამოვიდა საგარანტიო ხელშეკრულებისა და გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის წინააღმდეგ.

---

## საბჭოთა კავშირს დიდი მომავალი აქვს.

## ამხ. ბრამლის გამოსვლა.

ფრედ ბრალიმ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მიერ მოწყობილ მიტინგზე განაცხადა: „25 წლის შემდეგ რუსეთი იქნება ერთი უდიდეს სახელმწიფოთაგანი, როგორიც კი არსებობდა დღემდის.“

შემდეგ ბრამლი შეეხო გაზეთების ჭორებს, ვითომ დელეგაციის ანგარიში არ ყოფილა მისი წევრების მიერ მოწერილიო და განაცხადა, რომ ეს ხმები სიცრუეაო.

---

## გერმანიის კომუნისტების მასიური გასამართლება.

შიფბეკში (გერმანიაში) დასრულდა კომუნისტების მასიური გასამართლება. მათ ბრალი ედებოდათ სახელმწიფოს ღალატში.

მთავარ ბრალდებულთ—სვიტალსა და ბერნერს მიუსაჯეს ხუთ-ხუთი წლის ციხე, ვოლტერს—4 წლის, დანარჩენებს სამ-სამ წლამდი.

---

## მოწოდება საერთო გაფიცვებისაკენ.

დანიის მეპატრონეებმა გამოაცხადეს ლოკაუტი სამრეწველო დაწესებულებებში. ამის გამო დანიის კომპარტიის ცეკამ გამოუშვა მოწოდება საერთო გაფიცვებისათვის.

---

## „ძველი მეგობარი“

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სკშინსკიმ განაცხადა:

„ერიომ კატეგორიულად განმიცხადა, რომ საფრანგეთი აუცილებელ საჭიროებად სცნობს პოლონეთის ინტერესების დაცვას. გერმანიის წინადადების განხილვის დროს საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო, პირველ რიგში დასმულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ მოუტანს თუ არა პოლონეთს რაიმე ზიანს ეს წინადადებაო“.

---

## საფრანგეთ-საბჭოთა სადაო საკითხი მოგვარებულ იქნება.

დე-მონზის კომისიის წევრმა დეპუტატ დალბომ თავის წერილში გამოსთქვა იმედი, რომ რუსეთის ვალების შესახებ მოგვარებული იქნება.

---

## ამხ. ლანცუცკის გასამართლება.

დაკითხულ იქნა 5 მოწმე—პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები.

არც ერთ მოწმეს არ დაუმტკიცებია ის ბრალდება, რომელიც წამოყენებულია საბრალდებლო ოქმში.

დაკითხვის შემდეგ სასამართლომ გამოაქვეყნა საბუთები, რომელთა შორის არის „კომუნიზმის ანბანი“; ნაწყვეტები “ანბანიდან“ წაკითხულ იქნება სასამართლოში.

## ინგლისის მუშათა პარტიის დეპეშა.

ინგლისის მუშათა პარტიამ გამოგზავნა სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე დეპეშა თხოვნით—გადასდონ პროცესი მუშათა პარტიის მიერ გამოგზავნილ დამცველის მოსვლამდის.

## საბჭოთა კავშირის მუშათა პროტესტი ამხ. ლანცუცკის გასამართლების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან მოდის პროტესტები ამხ. ლანცუცკის გასამართლების წინააღმდეგ.

მუშები გამოსთქვამენ მზად ყოფნას დაეხმარონ პოლონელ ძმებს თეთრი ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

# პარტიული ცხოვრება.

## ...ეორე ლეგიონის პარტიული საქმიანობიდან.

პარტიული მუშაობა ჩვენს ...ეგიონში თავიდანვე კარგ ...დაგზე იყო დაყენებული, ...რამ ამ უკანასკნელ ხანებში ...ნ უფრო ცხოველი ხასიათი ...ილო და წარმატებით სწარ...ებს.

ამ ერთი კვირის წინ, ლე...ონის პარტორგანიზაციების ...მოქალაქო ორგანიზაციებთან ...ამოკიდებულებაში იყო ცოტა ...ეფექტები. კომუჯრედები ამ...თანავე ჩამოყალიბებული ...ყო ათასეულის ფარგლებში. ...ასაც ოდნავი დაბრკოლებანი ...ქონდა გეგმიანი მუშაობის ...რმოებაში.

ამჟამად ეს დეფექტები გა...ოსწორებულია, სამოქალაქო ...რგანიზაციებთანაც აღდგენი...ია სრული კავშირი.

ამ მიზნით 9 მარტს ლეგი...ნის კლუბში მოწვეული იქნა სამოქალაქო ორგანიზაციების და სამხედრო და ახკომკავშირის კომუჯრედების პასუხის მგებელი მდივნების თათბირი. აქ გაეცვნენ ამხანაგები ერთმანეთს და გამომუშავებული იქნა სათანადო გეგმა მუშაობის საწარმოებლად.

მარტიდან ლეგიონის საათასეულო კომუჯრედების, მაგივრად შემოღებული იქნება ასეულის კომუჯრედები რაც გაცილებით მეტ-ნაყოფს მოიტანს ვიდრე აქამდე.

ამ ჟამად ლეგიონში სულ არსებობს 8 კომუჯრედი. ყველა უჯრედებში წევრთა რიცხვი განაწილებულია პროპორციონალურად.

პარტსკოლა კი ისევ ათასეულის ფარგლებში განაგრძობს მუშაობას.

სამხკორი **გუჯაბიძე.**

### უნცროს მეთაურთა სკოლა.

21 მარტს შესდგა 1—ლ ლეგიონის უნცროს მეთაურ...ა სკოლის კომუჯრედის მორიგი კრება, დაესწრენ კომპა...ტიის წევრები და კანდიდატები ახკომკავშირს წევრები და ...პარტიო წ. მოლაშქრები.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1)ძვე...ლი ოქმის დამტკიცება, 2) პარიზის კომუნის შესახებ, 3) ...მნეო დარგის მუშაობის შესახებ მოხსენება და 4) ბიუროს ...რჩევა. პარიზის კომუნის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ან...ლულაძემ. პარიზის კომუნამ თავის არსებობის მოკლე ხნის ...ანმავლობაში ბევრი რამის გაკეთება შესძლო. ასეთი იყო ...ელიგიის საკითხი, რომლითაც გამოეყო ეკლესია სახელმწი...ოს, რვა საათის სამუშაო დღის შემოღება და სხვა.

ამხანაგი აღნიშნავს იმასაც თუ როგორი შეცდომები და...უშვა კომუნამ. შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. გრიგოლიშვი...მა სამნეო დარგის მუშაობის შესახებ. ამხ. პირველათ შეე...ო თუ 1921 წ. შემდეგ როგორი ყურადღება მიექცა წ. ...არს, რომლის მდგომარეობა თან—და თან უმჯობესდება ...ა ამ ჟამადაც მიღებულია მთელი რიგი ზომები, ჯარის ...ოველ ნაირად უზრუნველსაყოფად.

შემდეგ კრებამ ბიუროს წევრებად აირჩია შემდეგი ამხა...ები:

1) ცინცაძე,
2) ხაჟალია,
და 3) ბურჭულაძე.

კანდიდატებათ რჩებიან 1) თელიაშვილი და 2) გაზოევი.

პარტკორი **გ. ბურჭულაძე.**

## ახკომკავშირელთა შორის.

### საარტილერიო განყოფილების უჯრედი.

21 მარტს მოხდა სკოლის საარტილერიო განყოფილე...ს კომკავშირის ღია კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება ...რიზის კომუნაზე რემედასი; მიმდინარე საკითხები.

მომხსენებლებმა გარკვევით აღნიშნეს პარიზის კომუნის ...იშვნელობა, მისი შეცდომები და სხვა.

რა გვასწავლა ჩვენ და როგორ გამოვიყენეთ კომუნის ...კვეთილები ოქტომბრის რევოლიუციაში. მომხსენებლები ...ეხენ აგრეთვე რემედასის მნიშვნელობას და თუ როგორ ...დგომარეობაში არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში კომპარტიის ...ევრები და სხვა.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ ...არტილერიო განყ. კურსანტები ვფიცავთ ერთხმათ რომ ...ავი დავდოთ იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც ასე იტანჯებიან ...ურჟუაზიულ ქვეყნების საპყრობილეებში.

დადგება ის დრო როდესაც მიუშვერთ მტარვალებს, ...ენს ქვემეხებს, გავანთავისუფლებთ ამ ამხანაგებს და ამა...თ ავაფრიალებთ იმ წითელ დროშას, რომელიც დაგვიტოვა ...რიზის კომუნამ, კრება აგრეთვე ერთხმათ სწირავს რემე...ასის ფონდის გასაძლიერებლად კურსანტების სამი თვის ...ოდო ორ ფუთ ნახევარ საპონს.

სამხკორი **ვ. ახათიანი.**




## წ. არმიელები დაღუპულ ამხანაგების შესახებ

### მეთაურთა სკოლა 23 მარტს.

ხშირად, როდესაც ჩვენი კურსანტები სკოლის განიერ ეზოში გამოიშლებიან—ეზო ლხენითაა სავსე; მრავალ-ნაირი სიმღერა ატკბობს ყურთასმენას!..

ასე არ იყო 23 მარტს...

შუადღეზე ეზო სავსე იყო კურსანტებით. ოდნავ ცივ-და... კურსანტები ჯგუფებად თავ-თავიანთ ასეულებთან იდგენ.

აღარც ჩვეულებრივი ოხუნჯობა, აღარც სიმღერა და სმენის დამტკბობი ღიღინი...

ირგვლივ მოწყენა, ნაღველი და უხალისობა!! დროშაც—შავი არშიით ძირს დაშვებულია.

ეს დიდი მწუხარების ნიშანია...

რევოლიუციის გმირები დაიღუპენ! ყველას ტანში აჟრ-ჟოლებს ამ საშინელი დაღუპვის მოგონებაზე...

ვინ იქნება ისეთი გულ-ქვა—ეს სურათი წარმოიდგინოს და ცრემლები არ მოსწუროს თვალთაგან...

„იუნკერს“ შენდალუპე მიასნიკოვი!

შპილ! შენ ვერ უშველე გმირებს!..

...სკოლა დგას სმენაზე!

ინტერნაციონალმა იგრიალა სამხედრო ორკესტრიდან და ყველა გასწორდა, მედროშენიც გამოჩნდენ..

დროშა მოაქვთ, რომ წარუძღვენ სკოლას და პატივი სცენ ტრაღიკულად დაღუპულ გმირებს...

ის.

## 23 მარტს დაღუპულ ამხანაგების პატივისცემის კრება.

23 მარტს საღამოს ქ. ცხენოსან ლეგიონის კლუბის შენობაში შესდგა ლეგიონის გაერთიანებული კრება.

ამხ. სამხკომმა გააცნო ამხანაგებს კრების მოწვევის მიზეზი.

სამგლოვიარო სიტყვებით გამოვიდენ ამხ. ამხ. ღიღიძე ქელიძე და ხაზალია, რომელთაც გამოსთქვეს ღრმა მწუხარება და აღნიშნეს ის დანაკლისი, რომელიც ეწვია კომპარტია ამხანაგების დაღუპვის გამო.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ ქართულ ცხენოსან ლეგიონის სრული შემადგენლობა ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას, კომუნისტური პარტიისა და მშრომელი ხალხის ღრმა მწუხარებას; ამასთანავე ერთად ფიცსა ვსდებთ იმათ ცხედრების წინაშე, რომ ჩვენ მუდამ ვიბრძოლებთ იმ საკაცობრიო საქმისთვის—მსოფლიო კომუნისათვის, რომლისათვის იბრძოდენ დაღუპული ამხანაგები“.

**დ. ზეფრაშვილი.**

## როგორ ვცხოვრობთ და ვსაქმიანობთ.

მეოთხე ლეგიონის მეხუთე ასეული ძლიერ ცუდ პირობებში იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ის თანდათანობით ჩამოყალიბდა.

ამ ჟამად მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. ცხოვრების პირობებიც გაგვიუმჯობესდა და სხვა.

**პოლიტ—საათი**

პოლიტ—საათს ასეულში სისტემატიური ხასიათი აქვს. მიუხედავათ იმისა, რომ წითელ არმიელების უმეტესობა უცოდინარები იყვენ, პოლიტიკურად მაინც შევსძელით მათი გათვითცნობიერება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გამონაკლისს.

პოლიტიკური საუბარი კვირაში იმართება სამჯერ.

წითელ-არმიელები თვითონ აკეთებენ მოხსენებებს.

**საკლუბო მუშაობა.**

საკლუბო მუშაობა მოწყს-რიგებულია. არსებობს 3 წრე: პოლიტიკური, დრამატიული და ლიტერატურული. ყველა მათგანს სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები ყავთ,

**საბიბლიოთეკო მუშაობა.**

წიგნების უქონლობის გამო საბიბლიოთეკო მუშაობა მოისუსტებს, მაგრამ 5-ე ასეულის წ.-მ. სარგებლობენ ადგილობრივ პარტიული ბიბლიოთეკის წიგნებით. ლეგიონმა აუცილებლად უნდა მიიღოს ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

**ლენინის კუთხე.**

5-თე ასეულს დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ის შეერთებული იყო 2-ე ათასეულთან და ლენინის კუთხეს აწყობდენ ერთად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ 5-ე ასეულის და 6-ე ასეულის კუთხის ქონება დარჩა 4-ე ასეულს.

ჩვენმა ასეულმა თავისი ენერგიული მუშაობით და ადგილობრივ ორგანიზაციის—დახმარებით მოაწყო თვალსაჩინო კუთხე. სულ კუთხე 150 მანეთის ღირებულებისაა. კუთხეში გვაქვს დამკა, შახმატი და სხვა გასართობები.

**კედლის გაზეთი.**

5-ე ასეული უშვებს კედლის გაზეთს „წითელი სხივს“. გაზეთის სარ. კოლეგიაში თვით წ-არმიელები შედიან. სულ თვე ნახევარში გამოვიდა ოთხი ნომერი.

**წერა—კითხვა**

ამ მოკლე ხანში გამოცხადდება წერა კითხვის უცოდინარეობის წინააღმდეგ მუშაობა. მეცადინეობა გაცხოველებულად მიმდინარეობს.

**სამხედრო მეცადინეობა.**

სამხედრო მეცადინეობა კარგათაა დაყენებული, თანახმად პროგრამისა სწარმოებს, სამწყობრო, საგარნიზონო, საშინაო, ტოპოგრაფიული და სხვა. ყველაში დიდ ყურადღებას იჩენენ წითელ-არმიელები, მხოლოდ ხელს გვიშლის სახელმძღვანელოების უქონლობა. ამასაც ყურადღება უნდა მიაქციოს ლეგიონმა.

**სამხედრო კუთხე.**

ჯერ ჯერობით ასეთი მოწყობილი არა გვაქვს, მაგრამ მუშაობა დაწყებული გვაქვს და ამ რამოდენიმე დღის შემდეგ მოვათავებთ.

**დღესასწაულების ჩატარება.**

ყველა დღესასწაულები 5-თე ასეულმა აღნიშნა, კედლის გაზეთის საშუალებით, მუშებში მოხსენების გაკეთებით, წიგნების გამოფენით, გლეხებთან დაკავშირებით და სხვა.

**წვევამდელებში მუშაობა.**

ჯერ ჯერობით წვევამდელები ვერ იჩენენ საჭირო ენერგიას მუშაობაში, მაგრამ ეს უნდა მივაწეროთ შეუგნებლობას წვევამდელები დღეში მეცადინეობენ 7 საათს. წვევამდელების მიერ. გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი „წითელი წვევამდელი“, რომელიც საინტერესოა თავისი შინაარსით.

ამნაირად ჩვენს ასეულს ბევრი რამ აკლია, მაგრამ იმედი გვაქვს ლეგიონის დახმარებით ყველაფერს თავის დროზე მოვაწესრიგებთ.

პოლიტხელი **კ. ბაღათურია.**

## მოგვეცით პირისაბანი.

### პირველ საკავშირო ასეულის სამნეო ნაწილის საყურადღებოთ.

აღნიშნულ ასეულში წყალსადენის მილი მოწყობილი იყო სასადილოს გვერდით, სადაც იბანდენ პირს ჩვენი არმიელები. ამოკითხვაზე ძნელად თუ როდისმე დააგვიანებდენ. ძლიერმა სიცივეებმა ეს მილი გააფუჭეს. თითქმის ორი თვე იქნება, რაც ასეული ვეღარ სარგებლობს ამ მილით. პირის დაბანა არმიელებს უხდებათ ფეხისადგილის გაფუჭებულ და უვარგის მილებიდან. თავი გვაქვს მოძულებული. ჯერ ერთი ცოტა წყალი მოდის, საჭიროა რიგში ჩადგომა და მეორეც ამ სიბინძურეში პირის ბანას-დაუბანეობა სჯობია. ხშირად გვაგვიანდება ამოკითხვაზე. ვერ ვასწრებთ პირის დაბანას, რაც შეხლა-შემოხლასა და ჩხუბს იწვევს ამხანაგებში. არ ვიცით რას ფიქრობს ჩვენი სამნეო ნაწილის უფროსი. სანამ უნდა ვიწვალოთ ასე? საჭიროა შეაკეთონ წყალსადენის მილი და როგორმე ერთი პირისაბანიც მოგვიწყონ ასეულში, მით უმეტეს ადვილი იქნება ეს, რადგან ზეინკალი ასეულში გვყავს და ხარჯებსაც არ გამოიწვევს.

სამხკორი **შალაშინი.**

## ჩვენი შემოქმედებანი.

### „პანორამა“ № 37.

გამოვიდა არტლეგიონის ბიუროკოლექტივის ყოველ კვირეული გაზეთი „პანორამის“ მორიგი № 37.

გაზეთი გამოსულია პარიზის კომუნისა და რემედასის დღის აღსანიშნავად.

გაზეთი მდიდარია აღნიშნული დღეების მოსაგონარი წერილებით და ლექსებით. არის აგრეთვე წერილები მედიცინიდან და სამხედრო საქმიდან.

გაზეთში მონაწილეობას ღებულობენ უმთავრესად არტლეგიონის და არტ-სკოლის წითელ არმიელები.

როგორც ყოველთვის გაზეთი მშვენივრად არის დასურათებული ახალგაზრდა მხატვარ ამხ. კოპალიანის მიერ.

აქ არის სურათები როგორც კომუნარების, აგრეთვე მათი ჯალათების. არის პორტრეტები მარქსის და ლენინის.

გაზეთს ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ წერილები რემეგტონით არის დაბეჭდილი და შემდეგ გაზეთზე მიკრული.

გარდა იმისა, რომ ამ მოვლენას გაზეთის მხატვრულ მთლიანობაში შეაქვს ერთგვარი არევ-დარევა, გაზეთის ასეთი გამოცემა (საყოველთაოდ) შემდეგისათვის ხელს შეუშლის მის გავრცელებას წითელ არმიელებში, რადგან ზაფხულზე გაზეთი უნდა იყოს გამოტანილი გარეთ—ლეგიონის ეზოში, რომ ყველასათვის ადვილი გახდეს გაზეთის შინაარსის გაცნობა.

ასე დაბეჭდილ წერილებს კი მზის სხივები სრულიად ამოშლის და ამნაირად ის ვეღარ მიაღწევს თავის დანიშნულებას.

სასურველია სარედაქციო კოლეგია მიაქცევდეს ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას და მომავალში გამოუშვებდეს ხელნაწერ გაზეთს.

სამხკორი **ლ—ო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განათლების ფრონტზე.

**4 წლის მუშაობის ანგარიში.**

იბეჭდება და ახლო ხანში ცალკე წიგნათ გამოვა განათლების სახ. კომისარიატის 4 წლის ანგარიში.

**შრომის სკოლების კურსის დამთავრების შესახებ.**

შრომის სკოლებში არსებულ სწავლის პრინციპების გამო, განათლების კომისარიატს შეუძლებლათ მიაჩნია საზოგადოთ და კერძოდ მიმდინარე სამოსწავლო წელს ნება მიეცეს ექსტერნებს 9 წლიან შრომის სკოლების კურსის დასათავრებლად ამა თუ იმ სასწავლებელში ჩააბარონ გამოცდები. ამ დადგენილების გატარება ევალებათ მაზრების განათლების განყოფილებათა ინსპექტორებს.

**ახალციხის ალმასკომის შუამდგომლობა.**

ახალციხის ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე ახალციხის განათლების განყოფილების ინსპექტორის დანიშვნის შესახებ.

## უცხოეთის არმიებში.

**რუმინეთის ავიაციის ბედი.**

რუმინეთის მთავრობის ხელშეკრულების საკითხი ინგლისის საავიაციო ქარხანასთან, ჰაეროპლანების დამზადების შესახებ ისევ აღელვებს რუმინეთის საზოგადოებრივ და განსაკუთრებით კი სამხედრო წრეების აზრს. ამის შესახებ პრესაში აშკარად გამოდიან თვით რუმინეთის არმიის ოფიცრები—რომელიც უნდა ჩაითვალოს არ გაგონილ მოვლენად და რაც საშინლად სცემს ჯარის დისციპლინას. მაგალითად „პოდპოლკოვნიკმა“ შენდერიმ გაზეთ „უნივერსულის“ რედაქციას გადაუგზავნა ენერგიულ წერილი, ხოლო რედაქტორმა კი იგივე წერილი გადაუგზავნა მემკვიდრე პრინცს—კარლოსს, რომელიც ითვლება ავიაციის მთავარ ინსპექტორად.

სამხედრო მინისტრმა ასეთი ანორმალური მოვლენის წინაამდეგ მიიღო ზომები. წერილის ავტორი გადასცა ამხანაგებს სასამართლოს. მაგრამ მთელი არმიის „პოდპოლკოვნიკების“ ყრილობაზე შენდერი გამართლებული იქნა 68 ხმით 13-ის წინაამდეგ.

ასე აქვთ არეული დავთარი რუმინეთის მართველ ხელისუფლებას.

**რუმინეთის სათადარიგო ოფიცერთა კავშირი.**

29 მარტს ბუქარესტში მოვეულია რუმინეთის არმიის სათადარიგო ოფიცერთა კავშირის ყრილობა.

გენერალ იპკოვესკის განცხადებით, რომელიც ითვლება ხსენებულ კავშირის თავმჯდომარედ, ამ ჟამად ორგანიზაციაში ითვლება წევრებად 4,000 წევრი სათადარიგო ოფიცერი (25,000 ათასიდან, რომელიც ითვლება რუმინეთის არმიაში).

**სკანდალი ჰაეროპლანების გამო.**

ინგლისურის საავიაციო ქარხანამ დაუმზადა რუმინეთს სამხედრო ჰაეროპლანები. ჰაეროპლანების ჩასაბარებლად რუმინეთიდან გაგზავნილი იქნა კომისია მფრინავ საპატესკუს თავმჯდომარეობით, რომელიც პირველი ჰაეროპლანის გამოცდისთანავე სასიკვდილოდ დაიმტვრა. ამ გარემოებამ ძლიერ ააღელვა სამხედრო წრეები, და სამხედრო სამინისტროს შესწამეს, რომ სხვა და სხვა პოლიტიკური მოსაზრებით, ის განგებ აიარაღებს რუმინეთის არმიას ასეთი უვარგისი ჰაეროპლანებით. ამ აზრს იცავს სამხედრო სამინისტროს საჰაერო სამმართველოს უფროსი რუჟინსკი, რომელიც სამსახურიდანაც კი გადადგა და განაცხადა, რომ ის არ ღებულობს თავის თავზე რუმინეთის არმიის ასეთი ყალბი იარაღებით შეიარაღების პასუხისმგებლობას.

## წიგნის და ბიბლიოთეკის კუთხე

**მკითხველთა აზრების ჟურნალი.**

**როგორ მოვიზიდოთ მკითხველები ჟურნალში მონაწილეობის მისაღებად.**

ბიბლიოთეკარები ხშირათ საყვედურობენ, რომ მკითხველები ამ ჟურნალს ყურადღებას არ აქცევენ.

ამიტომ უპირველესად საჭიროა ბიბლიოთეკის მკითხველთა ყურადღების მიქცევა ჟურნალისაკენ რეკლამის საშუალებით. თვით ჟურნალი დაიდვას ღია და თვალსაჩინო ადგილას, სჯობს იმ მაგიდის ახლო, სადაც წიგნის გაცემა ხდება.

გამოაფინეთ სარეკლამო პლაკატი, რომელიც მკითხველებს მოუწოდებს მიიღონ უშუალო მონაწილეობა ჟურნალში წაკითხულ წიგნებზე თავის აზრის გამოსათქმელად.

ამ მხრივ საუკეთესო საშუალება იქნება პლაკატი, რომელზედაც უნდა მოთავსდეს წითელ არმიელთა მიერ ჟურნალში შეტანილი აზრები წაკითხულ წიგნებზე. პლაკატის ზევით უნდა დაიწეროს: „აი რას წერენ მკითხველები ჟურნალში აზრებისათვის წაკითხულ წიგნზე“.

თვითეულ აზრის შემდეგ აღნიშნული იქნება დამწერის გვარი.

პლაკატის ქვემოდ ბიბლიოთეკარი მოათავსებს მოწინავეს იმ მკითხველებისადმი, რომლებიც ჯერ ჟურნალში მონაწილეობას არ ღებულობენ.

„მკითხველო, მისდიე შენი ამხანაგების მაგალითს. ჩაწერე ჟურნალში შენი აზრი წაკითხულ წიგნის შესახებ“.

ასეთ რეკლამის გარდა, მუდმივ უნდა სწარმოებდეს ზეპირი აგიტაცია ჟურნალის სასარგებლოდ მკითხველის მიერ წაკითხულ წიგნის გამოცვლის დროს.

ჟურნალი მკითხველთა აზრებისათვის ჩვენს ბიბლიოთეკებში არის შემოღებული, მაგრამ თითქმის არც ერთი ბიბლიოთეკარი არ იყენებს მას, როგორც საჭიროა. ნამდვილად კი ეს ჟურნალი უნდა იყოს დამხმარე საშუალება ბიბლიოთეკარისთვის კითხვის ხელმძღვანელობის დროს.

ბიბლიოთეკარს ჟურნალი საშუალებას აძლევს თვალ ყური ადევნოს მკითხველის აზრს წაკითხულ წიგნზე, გაიგოს, თუ როგორია თვითეულ მკითხველის ინტერესები, როგორი წიგნი უფრო მოსწონს მას და როგორია მისი განვითარება.

თუ ბიბლიოთეკარი მკითხველის აღნიშნულ თვისებებს არ იცნობს, ზედმეტია ლაპარაკი მკითხველის ინდივიდუალურად შესწავლის შესახებ, რაც ძირითადია ბიბლიოთეკის მუშაობაში.

მეორე მხრივ, ჟურნალი დაეხმარება ბიბლიოთეკარს შეისწავლოს თუ რამდენად გამოსადეგია ესა თუ ის წიგნი წითელ არმიელისათვის.

უკვე შევსებული „ჟურნალი მკითხველთა აზრებისა წაკითხულ წიგნზე“—ინახება ბიბლიოთეკარის მიერ.

ე. მ—ვა.

## ამბები სოფლებიდან

**ზუგდიდის გლეხთა სახლში.**

ზუგდიდის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა ზუგდიდის გლეხთა სახლში მოაწყოს კიდევ დამატებითი საწოლები.

**სახამ. გამომძიებელი სოფლათ.**

ახალციხის ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა იუსტიც. კომისარიატის წინაშე ახალციხის მაზრაში კიდევ ერთი სასამართლოს გამომძიებლის დანიშვნის შესახებ.

**წყალდიდობასთან საბრძოლველათ.**

ახალქალაქის მაზრაში დაარსდა წყალდიდობასთან მებრძოლი კომიტეტი.

**სათესლე ფონდი.**

გორის ალმასკომმა გადასწყვიტა შექმნას სათესლე ფონდი, საიდანაც საჭიროების დროს დახმარება გაეწევათ სტიქიურათ დაზარალებულებს.

**მადლობა ფუხარა ხალხს.**

აჭარის სახკომსაბჭომ მიწერილობა დაუგზავნა ყველა თემსაბჭოებს გამოუცხადონ ფუხარა ხალხს მთავრობის სახელით მადლობა სას-სამეურნ. გადასახადის სრულათ შეტანის გამო.

**სოფლებში სისუფთავისათვის.**

თელავის ალმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება სოფლებში სისუფთავის დაცვის მიზნით.

**სასოფლო-სამ. იარაღების შეძენა.**

ზუგდიდის გლეხკომმა განიზრახა შეიძინოს მაზრის საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

**შორაპნის მაზრაში.**

გადაწყვეტილია შორაპნის მაზრაში არსებულ ყველა საფერშლო პუნქტები საექიმო პუნქტებათ გადაკეთება.

## ახალი ამბები.

— **სამაგალითო თემების რადიოთი დაჯილდოვება.** თანახმად საკავშირო ცაკის მომართვისა საქ. შინ. საქ. კომისარიატმა შეადგინა სამაგალითო თემსაბჭოების სია თითო მაზრიდან და ავტონომიური ერთეულიდან ორ-ორი თემსაბჭოსი, მათი რადიო-მიმღებ მანქანებით დასაჯილდოებლათ.

— **ტანისამოსი ბავშვებისათვის.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა შეიძინოს თავის განკარგულებაში მყოფ საბავშვო და სახლებში მყოფ ბავშვებისათვის საზაფხულო ტანისამოსი.

— **ბინების ალმშენებლობისათვის.** მუშათა ბინების ალმშენებლობის დამხმ. კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქ. კომუნალ. ბანკის წინაშე 50 ათასი მან. სესხის, მუშათა ბინების აშენების მიზნით.

— **სანიმუშო მეურნეობა.** მიწ. მოქ. კომისარიატმა ყველა მაზრებში დაგზავნა სანიმუშო სიმინდის თესლი, სანიმუშო სიმინდის ყანების მოსაწყობათ.

— **მევენახეობის კურსები.** მიწ. მოქ. კომისარიატმა კახეთში გახსნა ვენახის მყნობის კურსები.

— **საქართველოს სამკურნალო მცენარეების საალფთიაქო საქმისათვის გამოყენების** მიზნით, საქ. ჯანსახკომი იწვევს აპრილში თათბირს.

— **ჯანმრთელობის** სახ. კომისარიატი ამ დღეებში ხსნის 4 კბილის საექიმო კაბინეტს: ორ მაზრაში და 2 ტფილისში.

## სამხედრო ტრიბუნალი.

**კიდევ დეზერტირობა და სახაზინო ქონების გაფლანგვა**

23 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა 4-ხე მსროლელ ლეგიონის წ. მ. მიხაილ ნარიმანის-ძე ქრელაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა და სახაზინო ნივთების გაფლანგვა. წაყენებული ბრალდებები სასამართლომ სცნო დამტკიცებულად. საქმის ვითარება ასეთია: წ. წ. აგვისტოს ქრელაშვილი იყო გაშვებული მოკლე ვადიან შვებულებაში სოფ. დიმში. ი. წ. 28 აგვისტომდე. ის აღნიშნულ რიცხვს არ გამოცხადდა და განაგრძობდა დეზერტირობას სანამ ი. წ. ენკენისთვის 23-ს არ იქნა შეპყრობილი და მიცემული პასუხისგებაში. დეზერტირობაში ყოფნის დროს, მას გაუფლანგავს ერთი ცალი სახაზინო მაზარა.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას სასჯელთა შეერთების სახით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით ერთი წლის ვადით და 10 მანეთის ქონების კონფისკაცია. მხოლოდ თანახმად ს. რ. საქა-
რთველოს ცაკის № 13 ამნ-
სტიისა სასჯელი თავისუფლებ-
აღკვეთა ერთი წლის ვადი-
შეუმცირდა ნახევრად.

ამავე დღეს სამხედრო ტრი-
ბუნალმა განიხილა საქმე 2-
ქართულ ლეგიონის წ. მ. ი-
არიონ აბრამის-ძე სოფიას, რო-
მელსაც დეზერტირობა ბრა-
ლდება. ტრიბუნალმა ბრალდე-
ბა დამტკიცებულად სცნო და
მიუსაჯა მას საჯარიმო გუნდში
მოთავსება 6 თვის ვადით, მა-
გრამ თანახმად ს. რ. საქართ-
ველოს ცაკის ამნისტიისა ა. წ.
16 მარტიდან № 13 მისჯილ-
საჯარიმო გუნდში მოთავსებ-
6 თვის ვადით შეუმცირდ-
ნახევრად.

გნია.

## სოფელს გაზეთი გამოუწერეთ.

მე 2 ქ. დ. სამმართველოს (შტაბის და პოლიტგანყო-
ფილების) უფპოლიტშემადგენლობამ გამოუწერა გაზეთი „ახა-
ლი სოფელი“ სამი თვით ცალკე მესანგრე ასეულის 23 წითელ
არმიელების ღარიბ გლეხთა ოჯახებს, საქართველოს სხვადასხვ-
კუთხეების მცხოვრებთ და იწვევს 1 ქართ. დივიზიის სამმარ-
თველოს, ქართულ 1, 2, 3, 4, 5, 6 ცხენოსან, საარტილე-
რიო ლეგიონების უფპოლიტშემადგენლობას და აგრეთვე ქა-
რთულ მეთაურთა სკოლას, რათა იმათაც გამოუწერონ გა-
„ახალი სოფელი“ თავის ნაწილის წითელ-არმიელთა ოჯახებს.

ჩვენ მიერ გამოწერილი გაზეთები იგზავნება შემდეგ ად-
გილებში:

1. რაჭის მაზრა სოფ. ბარი (სოფ. ცესთან) ამხ. ტარასი გიორგობიანს უწერს ამხ. სართანია.
2. ქ. თელავი სოფ. ქვემო-ხედაშენი გიგა ახვერდაშვილს ამხ. წვენიევი.
3. ბორჯომის რაიონი სოფ. ახალდაბა ლექსო ლალაშვილს ამხ. ხმიტი.
4. რაჭის მაზრა პატარაონის რაიონი ს. ხვანჭკარა, ლადო ჩარბაძეს ამხ. გუდევანიშვილ-
5. თელავის მაზრა სოფ. შილდო გიო იმერლიშვილს ამხ. ვ. სიხარულიძ-
6. რაჭის მაზრა, ჩელაგემის რაიონი ს. ღლუგი, სოლომონ კობახიძეს ამხ. პატარაია.
7. რაჭის მაზრა, ამბროლაურის რაიონი, სოფ. მოტიერაი პ. მიკლაშვილს ამხ. მარკაროვ-
8. თელავის მაზრა, წინონდალის რაიონი ს. მუშეთი, ნიკოლ. გიორგაძეს ამხ. ტიგიშვილ-
9. შორაპნის მაზრა, ჩხარის რაიონი სოფ. სიქტარვა იოსებ რობაქიძეს ამხ. ბლუაშვილ-
10. ქუთ. მაზრა, ტობანიერის რაიონი სოფ. შუამთა, დავიდ გოგაძეს ამხ. ადამაძე.
11. შორაპნის მაზრა, სადგ. ხორაგოული, ს. ზარანა, ნიკო პლუაშვილს ამხ. მერაბიშვილ-
12. სიღნაღის მაზრა, სოფ. კარდანახი ივანე ბასილაშვილს ამხ. მარგალიტაძ-
13. მანგლისის რაიონი სოფ. დიდტონეთი მარკარ კკიმელაშვილს ამხ. რუდოვსკ-
14. ოზურგეთის მაზრა, ჩოხატ. რაიონი, ს. ფარცხმა ივ. ცინცაძეს ამხ. ელისაბედაშვილ-
15. გორის რაიონი, სოფ. ქახვრელი მარკარ კუმელაშვილს ამხ. დიანოვი.
16. შორაპ. მაზრა, ხრეითის თემი ს. ხრეითი ირაკ. გამკრელიძეს ამხ. გალუსტოვ-
17. შორაპ. მაზრა, მოლითის რაიონი, სოფ. კვები, გ. ჩხაიძეს ამხ. კუფარა-
18. თელავის მაზრა, ს. ურიათუბანი დ. თადიაშვილს ამხ. გოკიელ-
19. თფილისის მაზრა, ს. დიღომი იოსებ კუნწიაშვილს ამხ. ჩანტლაძ-
20. თფილისის მაზრა, ერწოს უბანი ს. თვალენჯი, პ. ხუზმიაშვილს ამხ. მურადო-
21. თელავის მაზრა, ს. გულგულა, ვ. გიგაურს ამხ. ივ. ბახტაძ-
22. თელავის მაზრა, სოფ. კურდღელა ანდრ. ვაშაკაშვილს ამხ. ლომიძ-
23. შორაპნის მაზრა, ს. გორისა გიორგი შეკლაშვილს ამხ. სხირტლაძ-

ი. რ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძ-



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.